KA030150860213618

**№ 01-58/ს** **18 / ივლისი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსის
მარინა დარახველიძის

**მოხსენებითი ბარათი**

ქალბატონო სოფიკო,

როგორც მოგეხსენებათ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 22-28 ივლისს ქ.ვენეციაში (იტალია) დაგეგმილია ევროპული ობსერვატორიის ვენეციის საზაფხულო სწავლება "მომსახურების ხარისხი: ეფექტიანობის, უსაფრთხოებისა და საპასუხო ქმედებების გაუმჯობესება", რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: მაია ლაგვილავა - მინისტრის მოადგილე, მარინა დარახველიძე - ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან გოგინაშვილი - პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მგზავრობის, სასტუმროს და კვების ხარჯების ანაზღაურებას. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს მიმდინარე წლის 22-29 ივლისს ვენეციაში მივლინებასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება და იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მომწვევი მხარის მიერ (ბილეთი და მოწვევა თან ერთვის).

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის
უფროსი, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარინა დარახველიძე